ხაშურის მოამბე

№43(416) 13 ნოემბერი, ორშაბათი, 2023 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ნინო ლიპარტელიანის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილებას შეუდგა 2021 წლის 3 დეკემბერს (განკარგულება N 64. 3.12.2021). ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო მრავალპარტიული სათათბირო ორგანოა, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ წარმოდგენილია 16 დეპუტატით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წარმოდგენილია 8 დეპუტატით, პარტია „საქართველოსთვის“ - 2 დეპუტატი, პარტია „ლელო“ 1 დეპუტატი. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემადგენლობაში მოქმედებს 5 კომისია და 3 ფრაქცია.

საანგარიშო პერიოდში, ჩატარდა საკრებულოს 26 სხდომა, სადაც მიღებულ იქნა 33 დადგენილება და 67 განკარგულება, ასევე გაიმართა მუდმივმოქმედი კომისიების 81 სხდომა.

ანგარიშის წარდგენისას გამოვალ საკრებულოს ძირითადი უფლებამოსილებებიდან, რომელიც 5 დიდ ჯგუფად იყოფა, ესაა:

პოლიტიკის განსაზღვრა;

საფინანსო-საბიუჯეტო უფლებამოსილებები;

აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობის რეგულირება და კონტროლი;

მუნიციპალური ქონების მართვა და განკარგვა;

ორგანიზაციული საკითხების განსაზღვრა;

ასევე გავითვალისწინებ საკრებულოს წევრის ძირითადი საქმიანობის 11 სხვადასხვა როლს:

პოლიტიკის განმსაზღვრელი (ჩართულია სტრატეგიის შემუშავებაში);

გადაწყვეტილების მიმღები (ეს განსაზღვრავს საქმიანობის ეფექტიანობას) ;

კომუნიკატორი (იღებს და გასცემს სარწმუნო ინფორმაციას);

ფასილიტატორი (მუშაობს გუნდურად, მხარს უჭერს თანამშრომლობას);

ხელშემწყობი (იპოვოს გამოსავალი, იყოს საქმეების რეალიზატორი);

მოლაპარაკებების მწარმოებელი;

ფინანსისტი (საჯარო ფულადი რესურსის სწორად ხარჯვა);

მეთვალყურე (მონიტორინგი);

გავლენიანი (უფლებამოსილების გამოყენება);

შესაძლებლობების შემქმნელი (ინიციატივები);

ლიდერი (საქმის ცოდნა და კეთება).

2023 წლის 26 იანვრიდან ხაშურის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამა დაიწყო, მთელი სადეპუტატო კორპუსი ჩართული იყო ამ აქტივობაში. პროგრამის განსახორციელებლად ხაშურის მუნიციპალიტეტისთვის საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2476 განკარგულების „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ შესაბამისად, 904 000 ლარი გამოიყო. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის 76 სოფელსა და დაბა სურამში მოსახლეობასთან შეხვედრები გაიმართა. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა მოქალაქეებს საშუალებას აძლევს თვითონ იმსჯელონ სოფლისათვის პრობლემური საკითხების მოგვარებაზე

და დამოუკიდებლად განსაზღვრონ პრიორიტეტები. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის მიერ ხმათა უმრავლესობით მხარდაჭერილი პროექტები ფინანსდება როგორც საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ასევე ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

მეორე უმნიშვნელოვანესი პროექტი, რომელსაც ჩვენი საფინანსო-საბიუჯეტო უფლებამოსილებები მოიცავს, არის სამოქალაქო (მონაწილეობითი) ბიუჯეტირება. ხაშურის მუნიციპალიტეტში სამოქალაქო (მონაწილეობითი) ბიუჯეტირების პროექტისთვის მიმდინარე წელს, შეირჩა წაღვლი, თაგვეთი და ცედანი. ადგილობრივ ბიუჯეტში პროექტისთვის 300 000 ლარია გამოყოფილი, საიდანაც თითოეულ სოფელზე 100 000 ლარი დაიხარჯება. საპროექტო იდეის წარმოდგენა ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია 14 წლის ასაკიდან. იდეები, რომლებიც წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს დააკმაყოფილებს გადავა კენჭისყრის ეტაპზე, სადაც გამარჯვებული პროექტი ფარული ხმის მიცემით გამოვლინდება.

მესამე, უმნიშვნელოვანესი აქტივობა, რომელსაც ჩვენი საფინანსო-საბიუჯეტო უფლებამოსილებები მოიცავს, არის პრიორიტეტების დოკუმენტზე მუშაობის პროცესი. ეს გახლავთ წერილი, რომელიც მე მივწერე ხაშურის მუნიციპალიტეტის მერს გასული წლის თებერვალში, სადაც ვითხოვე, რომ საკრებულოს დეპუტატებს მონაწილეობა მიეღოთ პრიორიტეტების დოკუმენტზე მუშაობაში:

„ჩვენთვის ცნობილია, რომ პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით, მერი, 1 მარტს, გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და ქმნის სამუშაო ჯგუფს. სამუშაო ჯგუფში შედის მერი, მერის მოადგილეები, მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და ყველა სფეროს წამყვანი თანამდებობის პირები, ასევე შესაძლებელია მოწვეულ იქნეს შესაბამისი დარგის სპეციალისტები.

საკრებულოს უფლებამოსილებებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ საკრებულოს წარმომადგენლები. გიგზავნით იმ დეპუტატების სიას, რომლებიც იმუშავებენ ამ ჯგუფში, გთხოვთ გაითვალისწინოთ:

კომისიის თავმჯდომარეები:

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია თავმჯდომარე -მარინე დიდებულიძე;

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე-მუხრან ჩადუნელი;

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე-მიხეილ ჯანაშვილი;

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე-ზაზა სხილაძე;

სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე-თათია ბროლიძე;

მაჟორიტარი დეპუტატები: ლევან გამრეკელი, ნოდარ ლომიძე, დავით მეტრეველი, მაყვალა მაისურაძე, ალექსანდრე სიმონიშვილი;

ფრაქცია: „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს თავმჯდომარე“-მერაბ ცხოვრებაძე;

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე-როინ მახარობლიძე;

„ხაშურისთვის“ თავმჯდომარე-ირინე გელაშვილი“.

ეს კი გახლავთ წერილი, რომელიც მე დავუგზავნე დეპუტატებს, რათა მათ 1 აგვისტომდე მოეწოდებინათ თავიანთი ინიციატივები:

„პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით, 2023 წლის 1 მარტს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. საკრებულოს უფლებამოსილებებიდან გამომდინარე სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შევიდნენ წარმომადგენლები სადეპუტატო კორპუსიდან.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენისათვის 2023 წლის 1 აგვისტომდე მოამზადეთ და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში წარმოადგინეთ მომზადებული რეკომენდაციების ნუსხა ან რამდენიმე საკითხი, რომლებზეც საბიუჯეტო ინიციატივა დაიწერება. რეკომენდაციების ნუსხა მხოლოდ საკითხების ჩამონათვალია, ხოლო ინიციატივა არის კონკრეტული პრობლემის თაობაზე ამომწურავი ინფორმაცია:

- საკითხის მნიშვნელობა

(გაგრძელება II გვერდზე)

#	თარიღი	ორგანიზაცია	ტრენინგი/შეხვედრა თემაზე:	მონაწილეთა რაოდენობა:
1	25-26 იანვარი	„საზოგადოება ბილიკი“ და სლოვაკური ორგანიზაცია-TENENET	შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობისა და შრომის პოლიტიკის ოპტიმიზაცია საქართველოს შრომის ბაზარზე	4
2	03.თებ	საჯარო სამსახურის ბიურო, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და შვედეთის მხარდაჭერა	მოხელეთა შორის კომუნიკაციის გაძლიერება და საჯარო სამსახურის უწყვეტი განვითარება	1
3	09.თებ	მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრი (MSDC), კარგი მმართველობის ინსტიტუტი (GGI) და სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი (ICCC)	ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე - საუკეთესო პრაქტიკა და ინოვაციური გადაწყვეტილებები	1
4	02.მარ	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	„ხარისხის ნიშნების მართვის პოლიტიკა სოფლის მეურნეობის სფეროში“	1
5	02.მარ	ქალთა საინფორმაციო ცენტრი და გაეროს ქალთა ორგანიზაცია	ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ტრანსფორმაციული პოტენციალის რეალიზება საქართველოში	1
6	06.მარ	საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივით, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მხარდაჭერით	შეხვედრა თემაზე „ყველა ფიქრობდა, მე ვთქვი“	1
7	17.მარ	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროკავშირის გენერალური დირექტორატი, ევროკავშირის დახმარების კოორდინაციისა და სექტორული ინტეგრაციის დეპარტამენტი	„საქართველოს ევროპული პერსპექტივა“	1
8	26.აპრ	ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, ეუთო, ახალგაზრდული ჯგუფი დუშანბედან (ტაჯიკეთი)	„ქალთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივი მონაწილეობა“	3
9	25.მაი	საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივით და გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და ბრიტანეთის მთავრობის მხარდაჭერით	საჯარო მოხელეთა შორის კომუნიკაციის გაძლიერება საჯარო სამსახურის უწყვეტი განვითარებისთვის	1
10	05.ივნ	ევროპის რეგიონთა და მუნიციპალიტეტთა საბჭო (CEMR), წევრ ასოციაციებთან - NALAG, CALM და AUC თანამშრომლობით	თანასწორობისა და ქალთა სოლიდარობის ფორუმი	1

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ნინო - ლიპარტელიანის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

აქტუალობის დასაბუთება

- პრობლემის გამომწვევი მიზეზები
- ინფორმაცია ბენეფიციარების შესახებ
- პრობლემების გადაჭრის გზები
- სავარაუდო ბიუჯეტი
- მოსალოდნელი შედეგი.“

მინდა მადლობა გადავუხადო ამ გუნდში მომუშავე ყველა დეპუტატს, მათ წარმოადგინეს ინიციატივები, რომლებიც გადაეგზავნა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს გასათვალისწინებლად.

აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობის რეგულირება და კონტროლის უფლებამოსილების ფარგლებში საკრებულოს სხდომებზე მოსმენილ იქნა:

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილების მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში.

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება „ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლის” ხელმძღვანელის, ივანე ხარაზიშვილის ინფორმაცია 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის ფუნქციების შემსრულებლის შოთა კუჭაიძის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მერიის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულების ხაშურის სამუსიკო სკოლების გაერთიანების” ხელმძღვანელის ლალი რუხაძის ინფორმაცია 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის 2022 წელს შესრულებული საქმიანობის ანგარიში

მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის სივრცითი მოწყობის და არქიტექტურული-სამშენებლო საქმიანობის რეგულირების განყოფილების ანგარიში 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „ხაშურსერვისის“ მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში.

მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ 2023 წლის 4 თვეში შესრულებული სამსახურის ანგარიში, რომელიც სამსახურის ხელმძღვანელმა მიხეილ ბარბაქაძემ წარმოადგინა და ა.შ.

მუნიციპალური ქონების მართვისა და განკარგვის უფლებამოსილების ფარგლებში საკრებულოს სხდომებზე მოსმენილ იქნა:

ხაშურის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენა;

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების (გარდა მიწისა) სარგებლობის ფორმით გადაცემის საწყისი წლიური ქირის ოდენობის განსაზღვრა;

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურისათვის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან არასაცხოვრებელი ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით 2 წლის ვადით გადაცემის პროექტი;

შპს „რეფერალური დახმარების ცენტრისათვის“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან არასაცხოვრებელი ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით 2 წლის ვადით გადაცემის პროექტი;

ა(ა)იპ „ახალგაზრდები ხაშურის განვითარებისათვის“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან არასაცხოვრებელი ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით 2 წლის ვადით გადაცემის პროექტი და ა.შ.

ორგანიზაციული საკითხების განსაზღვრის უფლებამოსილების ფარგლებში საკრებულოს სხდომებზე მოსმენილ იქნა:

ხაშურის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის მოხელეთა 2023 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცება;

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების - სამუსიკო სკოლების გაერთიანების პედაგოგთა განაკვეთის, საგაკვეთილო საათებისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრის წესში ცვლილების შეტანა;

სოციალურად შეჭირვებულ პირებზე საშეშე მერქნის გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემა;

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის კვარტლების მიხედვით სამუშაო გეგმის დამტკიცება;

სოფლის განვითარების სააგენტოს უფროსის მიერ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ახალი პროგრამის შესახებ ინფორმაციის მოსმენა;

პროექტი ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტების არაბული ციფრებით სახელდების თაობაზე;

პროექტი „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 3 თებერვლის N4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; აღინიშნა, რომ დადგენილების მიღების მიზანია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნათა დაცვა;

პროექტი „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთელის - ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;“

დამტკიცდა ხაშურის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა (2023-2027 წლები) და ა.შ.

2023 წლის 10 თებერვალს, პროექტის „ანგარიშვალდებული საკრებულოს წევრი ძლიერი დემოკრატიისათვის“ ფარგლებში, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლები დავესწარით შემაჯამებელ ფორუმს. პროექტი დაფინანსებულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის“ (GGLD) ფარგლებში. ფორუმს ესრებოდნენ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მზია გიორგობიანი და (GIZ)-ის წარმომადგენლები. საპილოტე მუნიციპალიტეტებში პროექტი 2021 წლის ივლისიდან ხორციელდება და თვითმმართველობის, წარმომადგენლობითი ორგანოს, საკრებულოს წევრის ანგარიშვალდებულების და მისი საქმიანობის გამჭვირვალობის გაძლიერების ხელშეწყობას ისახავს მიზნად. ფორუმზე განიხილეს პროექტის ძირითადი მიღწევები, 10 მუნიციპალიტეტში განხორციელებული პილოტირების შედეგები. ფორუმის ორგანიზატორებმა განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მრავალპარტიულობის ფონზე შექმნილი დემოკრატიული და გუნდური მუშაობის გარემო. გადმოგვეცა ანგრიშვალდებული საკრებულოს წევრის ჯილდო.

2023 წლის 21-22 თებერვალს, ქალაქ გორში შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობისა და შრომის პოლიტიკის ოპტიმიზაციის საკითხებზე გამართულ კონფერენციაზე ვისაუბრე პროექტთან დაკავშირებული აქტივობების შესახებ რეგიონულ დონეზე. კონფერენციის პირველი დღე გახსნა TENENET- ის წარმომადგენელმა მარსელა ჰაჯთმანკოვამ. პროექტის ,,დასაქმების ხელშეწყობა და შრომის პოლიტიკის ოპტიმიზაცია საქართველოს შრომის ბაზარზე“ შედეგების პრეზენტაცია გააკეთა „საზოგადოება ბილიკის“ ასოციაციის თავმჯდომარე მარიკა მღებრიშვილმა. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ხელმძღვანელმა ნინო ველთაურმა წარმოადგინა შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს პროგრამების სიტუაციური ანალიზი 2020 წლიდან დღემდე. შშმ პირთა უფლებების შესახებ კანონის შესახებ არსებული მდგომარეობა შეაჯამა ქეთევან ბებიაშვილმა - ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გორის ოფისის ხელმძღვანელმა. მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა გოჩა ქავთარაძემ კი კონფერენციის მონაწილეებს შშმ პირთა დასაქმების მხარდაჭერასთან დაკავშირებული წარმატების მაგალითები გააცნო. მხარდაჭერითი დასაქმების საუკეთესო პრაქტიკა ბრატისლავას მუნიციპალიტეტის მაგალითზე მონაწილეებს წარუდგინა TENENET-ის წარმომადგენელმა ნიკოლეტა ლუპტაკოვამ.

2023 წლის 3 მაისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სტუმრად იმყოფებოდა ეუთოს (OSCE) ახალგაზრდული დელეგაცია ქალაქ დუშანბედან (ტაჯიკეთი). ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატებმა დელეგაციის წევრებს გაუზიარეს გამოცდილება საკრებულოს და გენდერული თანასწორობის საბჭოს მუშაობის, გამოწვევების, მიღწევების შესახებ. უპასუხეს დასმულ შეკითხვებს. სასწავლო ვიზიტი ჩატარდა ეუთოს პროექტის ქალთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მონაწილეობის ფარგლებში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მერიის და ახალგაზრდობის სააგენტოს მხარდაჭერით ხაშურის სამუსიკო სკოლის შენობაში, ახალგაზრდული სივრცე გაიხსნა. შეკრებილ ახალგაზრდებს, ახალგაზრდული სივრცის მოწყობა მიულოცეს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე- ირაკლი გივიაშვილმა, ხაშურისა და ქარელის მაჟორიტარმა დეპუტატმა- ზაალ დუგლაძემ, პარლამენტში განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის პირველმა მოადგილემ - გიორგი ჩაკვეტაძემ, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა-თენგიზ ჩიტიაშვილმა, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე- ნინო ლიპარტელიანმა და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატმა ნიკა თიკანაშვილმა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების ჩართულობა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებსა და ტრენინგებზე

11	13.ივნ	საზოგადოება ბილიკი და USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის შიდა ქართლის რეგიონი	სამოქალაქო განათლების პროგრამის შემაჯამებელი ღონისძიება	1
12	23.ივნ	საზოგადოება ბილიკი	ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ცენტრის გახსნა ხაშურში	4
13	26.ივნ	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო, გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის “დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა ადგილობრივი დონეზე” მხარდაჭერით	ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში	2
14	30.ივნ	საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივით და გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და ბრიტანეთის მთავრობის მხარდაჭერით	საჯარო მოხელეთა შორის კომუნიკაციის გაძლიერება საჯარო სამსახურის უწყვეტი განვითარებისთვის	1
15	10-14 ივლისი	საზოგადოება ბილიკი	პროექტი „დასაქმების ადგილობრივი პოლიტიკის განვითარება-შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება“	1
16	24-26 აგვისტო	საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია	„ფინანსების ეფექტური მართვა და ალტერნატიული წყაროებიდან რესურსების ათვისების დაგეგმვა საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობები სთვის“	1
17	18.სექ	საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივით და გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის UK aid-ის მხარდაჭერით	მოხელეთა შორის კომუნიკაციის გაძლიერება საჯარო სამსახურის უწყვეტი განვითარებისთვის	1
18	20.სექ	ქალთა საინფორმაციო ცენტრი	პროექტის ფარგლებში „ქალთა გაძლიერება და სრულფასოვანი მონაწილეობა ადგილობრივი გენდერული პოლიტიკის განხორციელებაში“	7
19	25.სექ	საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივით და გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის UK aid-ის მხარდაჭერით	შეხვედრა თემაზე „რატომ უნდა დავიცვათ პერსონალური მონაცემები“	1
20	09.ოქტ	საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია	პროექტი „მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე საქართველოში“	1

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინიციტივით, 2023 წლის აპრილი- „ხაშურის მეწარმე ქალთა გაერთიანება“ ოფიციალურად დარეგისტრირდა მოქმედ ორგანიზაციად, დღეის მდგომარეობით ორგანიზაცია სხვადასხვა პროდუქციის მწარმოებელ 51 ქალს აერთიანებს, წარმოგიდგენთ, ორგანიზაციის წევრ ქალბატონების მცირე ჩამონათვალს, რომლებმაც გაიმარჯვეს სახელმწიფო თუ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ პროექტებში:

N	სახელი, გვარი	რას აწარმოებს	ვისგანაა დაფინანსებული	რამდენ ადამიანს ასაქმებს
	ნანა შარაშიძე	საოჯახო მეურნეობა „დოშკანა“	„საქართველოს ფერმერთა ასოციაციის“ ქალთა გაძლიერების პროექტის გამარჯვებული	1 ოჯახის წევრი 3 დაქირავებული
	სოფიო გოგინაშვილი	ჩირის და ხილის ჩაის წარმოება „ხემსი“	Usaid georgia-ს პროექტი „მიკრო გრანტი ქალ მეწარმეთა გადაუდებელი საჭიროების დასაფინანსებლად“	2 - ოჯახის წევრი
	ხათუნა ჩიტაძე	ხატვა, ქარგვა, ჯერვა, აპლიკაცია „ნამზეურები“	„აწარმოე საქართველოს“ გამარჯვებული	2 დაქირავებული
	ქეთი გიგოლაშვილი	პოლიმერული თიხა	„აწარმოე საქართველოს“ გამარჯვებული	-
	მონაზონი ნატალია ლაცაბიძე	თექა	„აწარმოე საქართველოს“ გამარჯვებული	-
	მზია ბრეგვაძე	საცხობი „შოთის პური“	„აწარმოე საქართველოს“ გამარჯვებული	2 დაქირავებული
	ნანი ლომსაძე	დოლის პურის ცხობა	„აწარმოე საქართველოს“ გამარჯვებული	2 დაქირავებული
	ნინო აბაიაძე	„მომავლის სახლი“-შშმ ბავშვების ნაკეთობები	გორის „კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი“	3 დაქირავებული
	სოფო გრიგალაშვილი	სამკერვალო „მკერვალი“	„აწარმოე საქართველოს“ გამარჯვებული	7 დაქირავებული

2023 წლის 18 იანვარს ბაკურიანის მსოფლიო ჩეპიონატის გახსნას ხაშურელი მეწარმე ქალებიც შეუერთდნენ. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის დ საკრებულოს ხელშეწყობით მათთვის საგამოფენო-სავაჭრო სივრცე და ტრანსპორტი გამოიყო. მეწარმე ქალებს საშუალება მიეცათ საკუთარი ნაწარმის წარმოეჩენათ ადგილობრივებისა თუ ჩამოსული სტუმრების წინაშე, რაც კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია მათი საქმიანობის პოპულარიზაციისათვის. სასიხარულოა, რომ გამოფენაში ხაშურელ სტარტაპერთა ფართო სპექტრი მონაწილეობდა: ,,ხემსი”, ,,დოშკანა”, ,,მკერვალი”, ,,ნამზეურები”, ,,დევდარიანების მარანი”, ,,ჩოკოლატლი”, ,,ნატუსი”, ,,ქარგულობა,”,,ტკბილცხობილა”,,შინდარის დედათა მონასტერი”.

2023 წლის 14 სექტემბერს, „ხაშურის მეწარმე ქალთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნანა შარაშიძე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატებთან ერთად, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების წაღვლისა და ჩორჩანის ქალებსა და ახალგაზრდებს შეხვდა. შეხვედრა მიზნად ისახავდა თემის გაძლიერებისა და მეწარმეობის ხელშემწყობი პროექტების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. ადმინისტრაციულ გამყოფზოლთან მცხოვრები ადამიანებისათვის მნიშვნელოვანია გამოცდილების გაზიარება და დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება პროექტებზე, რომლებიც მათ მისცემს შესაძლებლობას წამოიწყონ და განავითარონ საკუთარი მეურნეობა, საერთო ჯამში კი ხელს შეუწყობს სოფლის გაძლიერებას და სოციალურ-ეკონომიკურ სტაბილურობას. დაინტერესებულ საკითხებზე პროექტების შესახებ ქალბატონებს ესაუბრა საოჯახო მეურნეობა „დოშკანას” დამფუძნებელი ქალბატონი ნანა შარაშიძე, რომელსაც აქვს დონორ ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება, გახლავთ ორი პროექტის გამარჯვებული და ეწევა საოჯახო მეურნეობას.

2023 წლის 20 იანვარს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პროექტის ,,სუფთა

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ნინო ლიპარტელიანის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

გარემო ნარჩენების გარეშე ხაშურის მუნიციციპალიტეტში“ - კვლევის შემაჯამებელი განხილვა მოეწყო. მომხსენებლებმა ანა ჯებისაშვილმა და სოსო მეზვრიშვილმა საკრებულოს და მერიის თანამშრომლებს ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის შესრულებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები გააცნეს. პროექტს მეგობრობის ხიდი „ქართლოსი“ ახორციელებს, რომლის მიზანია ნარჩენების მართვის ხარისხის გაუმჯობესება ხაშურის მუნიციპალიტეტში, ნარჩენების მართვის გეგმის შესრულების მონიტორინგისა და გამოვლენილი პრობლემების მოგვარების ადვოკატირების გზით.

2023 წლის 24 ივნისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო შეუერთდა სოფ.წრომში გამართულ ღონისძიებას. გასულ წელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ხაშურის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლიც ფარგლებშიც, 2023 წლის 24 ივნისს, სოფ. წრომში, ფერმერული მეურნეობაში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის პროფესორები იმყოფებოდნენ. ორგანული ფერმერული სისტემების პროგრამის ფრგლებში მოხდა თანამედროვე კლიმატგონივრული ტექნოლოგიების დანერგვით საფურაჟე კულტურების სადემონსტრაციო ნაკვეთის მოწყობა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა სოციალურ და კულტურულ პროექტებში.

2023 წლის 6 მარტს, პატივი მივაგეთ 1921 წლის 4-6 მარტს გმირულად დაღუპული ჯარისკაცების ხსოვნას, 1921 წლის 4-6 მარტს ქართული არმიის მთავარსარდალ კვინიტაძის და გენერლების - მაზნიაშვილისა და სუმბათაშვილის მეთაურობით წითელი არმიის წინააღმდეგ კონტრშეტევა განხორციელდა. ხაშურში განთავსებული იყო მთავარსარდლის შტაბი და მათი დაცვა ევალებოდათ იუნკერთა სასწავლებლის

კურსანტებს. ოსიაურთან შეტაკებისას 120 ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა.

2023 წლის 9 აპრილს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერთან ერთად, პატივი მივაგეთ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა ხსოვნას. სწორედ 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიამ მისცა დასაბამი საქართველოს თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესს.

2023 წლის 26 მისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერთან ერთად, გვირგვინით შევამკეთ სოფელ აძვისში დავით ნიკოლოზის ძე კაპანაძის საფლავი, რომელზე გამოსახული ცნობილი წარწერა: „მონობაში ტანჯულო დაუვიწყარო მამავ, შენი ნატვრა აღსრულდა. საქართველო განთავისუფლდა“ ქართველი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისკენ სწრაფვის ერთ-ერთ სიმბოლოდ იქცა. ასევე გვირგვინებით შევამკეთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალი და საქართველო-სომხეთის 1918-1919 წლების ომში ხაშურის რაიონიდან გარდაცვლილ მებრძოლთა საძმო სასაფლაო. იმავე დღეს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერთან ერთად, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე მივულოცეთ ქალაქის ცენტრალურ მოედანზე შეკრებილ საზოგადოებას, წარმატებული სპორცმენები და მწვრთნელები დავაჯილდოვეთ.

2023 წლის 8 აგვისტოს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერთან ერთად, გვირგვინით შევამკეთ აგვისტოს ომის გმირების საფლავები, აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომმა ხაშურის მუნიციპალიტეტიდან სამი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა. ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენის კავალერი -კაპრალი დავით ბლიაძე ქვიშხეთშია დაკრძალული, კაპრალი ზაურ მახარაშვილი, რომელსაც გარდაცვალების შემდეგ მედალი “მხედრული მამაცობისთვის” გადაეცა, მისი მშობლიური სოფლის-ოსიაურის სასაფლაოზე განისვენებს, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენის კავალერმა კაპრალმა გიორგი წიქარიშვილმა კი სამუდამო განსასვენებელი თბილისის ძმათა სასაფლაოზე ჰპოვა.

2023 წლის 8 მარტს, უკვე მეორედ, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატებმა და აპარატის თანამშრომლებმა, ქალთა საერთაშორისო დღე მივულოცეთ, მაღალმთიანი სოფელ ბეღლითის ერთადერთ მკვიდრს, გულნარა გელაშვილს. ქალბატონი გულნარა ბეღლითში დაიბადა და გაიზარდა, 19 წლის ასაკში ოჯახი შექმნა და თბილისში საცხოვრებლად გადავიდა. 90-იან წლებში ხელი მოჰკიდა ორ შვილიშვილს და სოფელს დაუბრუნდა. საკუთარი ხელებით და ძმის დახმარებით მოაწესრიგა ნახევრადჩამოქცეული, უცხოვრებელი სახლი და შეუდგა ახალ ყოველდღიურობას - სოფლურს, თავის და ოჯახის გადარჩენის საზრუნავით სავსეს. წვრილფეხი, საქონელი შეიძინა და პატარებს ნატურალური, ნოყიერი ლუკმაპური გაუჩინა. ბაღჩა, ბოსტანი, ხეხილიც გააშენა. თბილისშიც გზავნიდა და ვისზეც ხმა მიუწვდებოდა, ყველას სოფლისკენ მოუხმობდა. გავიდა წლები. ბეღლითის მკვიდრი მოსახლე გახდა გულო ბებო. შვილიშვილები დაიზარდნენ, თბილისში წავიდნენ სასწავლებლად, შვილები მოუსვენრობას ვერ მალავენ, ვერ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ნინო ლიპარტელიანის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

გადააწყვეტინეს დედას ზამთარში მაინც სოფლის დატოვება, არადა, აქ ზამთარი იცის - თოვლი, ნამქერი, უგზობა! თუმცა ახლა შუქიცაა, გაზიც და ბეტონის გზაც თითქმის ბოლომდე მისული. საამაყო ქალბატონი გვყავს გულნარა გელაშვილის სახით, დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ!

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ აქტიური მხარდაჭერა გამოუხატა ფემიციდის საწინააღმდეგო საინფორმაციო შეხვედრას, რომელიც ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და ფემიციდის დანაშაულების პრევენციას მიეძღვნა. შეხვედრას უძღვებოდა ხაშურის რაიონული პროკურორი არჩილ ბედუკაძე და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი შიდა ქართლის რეგიონში-ხატია ჩიხლაძე. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. დარიგდა ანონიმური კითხვარები ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების შესახებ.

2023 წლის 17 მაისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ,,ევროპის დღე - 2023 '' -ის ფარგლებში, ევროკავშირი - საქართველოს თანამშრომლობის საკითხებზე საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას უძღვებოდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი ევროკავშირის საკითხებში - სოფო მიდელაშვილი. შეხვედრა საგარეო საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სსიპ ,,საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ '' ორგანიზებით ჩატარდა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო შეუერთდა 2023 წლის 26 მაისს რკინიგზის სადგურის ფოიეში, ახალგაზრდა ხაშურელი ფოტოგრაფის, ლანა ბლიაძის ფოტოგამოფენას, ლანა ბლიაძე ფოტოხელოვნებით ჯერ კიდევ სკოლის ასაკიდან დაინტერესდა. ხაშურში ეს მისი პირველი ფოტოგამოფენაა. წარმატებები ვუსურვოთ მას...

2023 წლის 15 ივნისს, სოფელ წაღვლის ახალ სტადიონზე, ალტერნატიული ბაღის აღსაზრდელებისა და მათი მშობლების მონაწილეობით, მხიარული სტარტებში მივიღეთ მონაწილეობა. აქტივობა ბაღის პედაგოგის მელანო ტალახაძისა და ა(ა)იპ „ხაშურის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ ორგანიზებით ჩატარდა. სხვადასხვა სახალისო სპორტულ თამაშებში, ბავშვებთან ერთად, აქტიურობდნენ როგორც მშობლები, ისე პედაგოგები. ლამაზი და ფერადი დღის მონაწილეებს ა(ა)იპ „ხაშურის საბავშვო ბაღების გაერთიანებისგან“ საჩუქრები და სიგელები გადაეცათ.

20223 წლის 8 ივლისს ხაშურის მუნიციპალიტეტს ისრაელის ელჩი სტუმრობდა. ელჩმა სურამში ებრაული სინაგოგა მოინახულა. შეხვედრას ესწრებოდნენ სურამში ებრაული თემის წარმომადგენლები, მაშავის პროგრამის კურსდამთავრებულები.

2023 წლის 7 თებერვალს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მერიის წარმომადგენლებთან და საბავშვო ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელთანერთად შეუერთდა იაპონიის საერთაშორისო ორგანიზაცია „ჯაიკას“ წარმომადგენლებს, ვიზიტის მიზანს ხაშურის მუნიციპალიტეტის სააღმზრდელო დაწესებულებების მიმართულებით მუშაობა და გამოცდილების გაზიარება წარმოადგენდა. იაპონური მხარის წარმომადგენლებმა მოისმინეს ინფორმაცია ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სააღმზრდელო პროცესის შესახებ და რეაბილიტაცია-აბილიტაციის ცენტრის საქმიანობის შესახებ. მათი მხრიდან გამოითქვა მოსაზრება რეაბილიტაცია-აბილიტაციის პროცესში იაპონელი მოხალისეების ჩართულობის თაობაზე.

ივლისის ბოლოს ჰეპატიტის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე აღინიშნება. 2023 წლის 18 ივლისს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო შეუერთდა ხაშურის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ჰეპატიტის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებულ ინიციატივას. ინიციატივის ფარგლებში ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომლებმა აივ ინფექციის, ტუბერკულოზის და C ჰეპატიტის კომბინირებული სკრინინგი ჩაიტარეს. ხაშურის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი კომბინირებული სკრინინგ კვლევის ჩატარებას მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებშიც გეგმავს. კვლევა უფასოა და მისი ჩატარება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ აქტიური მონაწილეობა მიიღო „ვარდისფერი ოქტომბრის“ ღონისძიებებში, რომელიც არის ძუძუს კიბოს ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო თვე, კომპანია მიზნად ისახავს ძუძუს კიბოს სიმპტომების ნაადრევ აღმოჩენას, სკრინინგული კვლევების აუცილებლობას. „ვარდისფერი ოქტომბრის“ კამპანიის ფარგლებში ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ახალგაზრდული ორგანიზაცია „ახალგაზრდები ხაშურის განვითარებისათვის“ ინიციატივით ხაშურის ქუჩებში მოეწყო ძუძუს კიბოს შესახებ ცნობიერების ამაღლების აქცია. „ვარდისფერი ოქტომბრის“ კამპანიის ფარგლებში, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები ვსტუმრობდით N1 საჯარო სკოლას და სადაც ვისაუბრეთ ძუძუს კიბოს პრევენციის მნიშვნელობაზე. მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრებ 50-ზე მეტ ქალს ჩაუტარდა ძუძუს კობოს უფასო სკრინინგი ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერითა და სურამის სადაბო პოლიკლინიკის ორგანიზებით.

2023 წლის სექტემბერი-სტიქია გურიაში, სტიქიის შედეგად დაზარალებული მოქალაქეებისათვის, ხაშურის მუნიციპალიტეტმა, საკრებულოს და კერძო სექტორის დიდი მხარდაჭერით, შიდა ქართლის რეგიონთან ერთად ჰუმანიტარული დახმარება გაგზავნა.

კულტურული ღონისძიებები

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო შეუერთდა მწერლისა და ჟურნალისტის, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გამოცემების მენეჯერის და ქალთა საბჭოს საპატიო წევრის მაყვალა ხაჩიძის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებას, რომელიც ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართა. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს დიდი მხარდაჭერით, ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისა და მნიშვნელოვანი წვლილისათვის, გასულ წელს მაყვალა ხაჩიძეს საპატიო ხაშურელის წოდება მიენიჭა.

2023 წლის 18 იანვარს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო შეუერთდა ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების დირექტორის მოადგილის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ, მურად მთვარელიძის კრებულის „ჩემი ქართულის მასწავლებელი“ პრეზენტაციას, რომელიც მხარეთმცდონეობის მუზეუმში გაიმართა. კრებულში შეტანილია ნარკვევები ხაშურის რაიონის სკოლებში მოღვაწე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების შესახებ. შემაჯამებელ სიტყვაში ხაზი გავუსვი პედაგოგების უმნიშვნელოვანეს როლს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების საქმეში, მადლობა გადავუხადე კრებულზე მომუშავე შემოქმედებით გუნდს და ყველა მასწავლებელს, ვისი ღვაწლიც დაუვიწყარია.

2023 წლის 8 თებერვალს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო შეუერთდა N1 საჯარო სკოლაში გაიმართულ შეხვედრას, თანამედროვეობის უდიდეს პოეტთან, ტარიელ ხარხელაურთან. შეხვედრის ორგანიზატორი გახლდათ ქართული ენის და ლიტერატურის პედაგოგი ფატი კურტანიძე. სკოლის მოსწავლეებმა წაიკითხეს პოეტის მარგალიტები, შემდეგ კი სცენა ტარიელ ხარხელაურს დაუთმეს.

2023 წლის 16 ივნისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო შეუერთდა „კულტურისა და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრში“ გამართულ ღონისძიებას. ხატვის წრის მოსწავლეებმა, ხატვის წრის პედაგოგის, დალი ხოლუაშვილის ორგანიზებით, საინტერესო ნამუშევრები წარმოადგინეს - „ქართველი მხატვრები, რომლებსაც მსოფლიო უნდა იცნობდეს“. ღონისძიების ბოლოს, კულტურის ცენტრების დირექტორმა გია ბოლოკაძემ და ცენტრის ხელმძღვანელმა ალექსანდრე ჯოჯიშვილმა, ხატვის წრის კურსდამთავრებულებს სერტიფიკატები გადასცეს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინიციატივით, 2023 წლის 25 ივნისს - საბავშვო წიგნის ფესტივალ „ასფურცელას“ ჩაეყარა საფუძველი. ფესტივალის ფარგლებში, წარმოდგენილი იყო გამომცემლობების: „არტანუჯი“, „ინტელექტი“, „პალიტრა L“, „მანდარინი“, „მახარობელი“ წიგნების გამოფენა-გაყიდვა. დღის განმავლობაში პატარა მკითხველებს ხაშურის საბავშვო, სურამის, მინის ტარისა და ცხრამუხის ბიბლიოთეკებში, ასევე, დიმიტრი ყიფიანის მოედანზე, შეხვდნენ საბავშვო მწერლები: ირმა მალაციძე, მურად მთვარელიძე, კლარა გელაშვილი, მარიამ წიკლაური, ნანიკო ბურდული, გივი ჩიღვინაძე, მარიამ გახელაძე, ნატო დავითაშვილი, ლელა გაბური, ლილი ალფაიძე, თეა თოფურია, ნინო ლომიძე, ნათია ჯანაშია, აგრეთვე, ილუსტრატორები და მთარგმნელები. გაიმართა თოჯინების თეატრის წარმოდგენა - ირმა მალაციძის პიესის მიხედვით, „სატკბილეთის ქვეყანა“. ფესტივალი დაასრულა ანიმატორების შოუ -კოსტუმირებულმა პერფორმანსმა.

სპორტული ღონისძიებები:

2022 წლის 24 დეკემბერი-ჭადრაკის ტურნირი-ხაშურის მუნიციპალიტეტში ჩატარდა წინასაახალწლო პირველობა ჭადრაკში 18 წლამდე მოსწავლე-ახალგაზრდებს შორის. ტურნირში მონაწილეობა სამ ასაკობრივ ჯგუფში 127-მა მოსწავლემ მიიღო.

2022 წლის 3 ივნისი-ჭადრაკის ტურნირი-3 ივნისს, ხაშურის N1 საჯარო სკოლაში გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის პირველობა ჭადრაკში, რომელშიც 170-მა მოსწავლემ და უფროსმა მიიღო მონაწილეობა. ტურნირს მსაჯობდა ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლის მწვრთნელ- მასწავლებელი ჭადრაკში ალექსანდრე ჭადაშვილი.

პრობლემა:

ქალბატონო ნინო,

სოფ. ტკოცის ე.წ. „ზემო უბნის“ მცხოვრებლები გაცნობებთ, რომ გასული წლის შემოდგომაზე, ჩვენი ძალებით და სკოლის მოსწავლეების ჩართულობით, დავასუფთავეთ უბანში არსებული ნაგავსაყრელი. დღეის მდგომარეობით ეს ტერიტორია არის დამუშავებული სპეციალური საშუალებებით, ნიადაგი მომზადებულია ნარგავების დასარგავად. სამუშაო ჩატარდა ბუნების მკვლევართა კავშირის „ორქისის“ დახმარებით, ნარგავებით უზრუნველყოფასაც აღნიშნული ორგანიზაცია გვთავაზობს სრულიად უფასოდ. ჩვენი სურვილია ეს ადგილი იქცეს ბავშვების და ახალგაზრდების დასვენების ადგილად. გვჭირდება თქვენი დახმარება, კერძოდ შემოსაღობია 1000 კვ. მეტრი ფართობი, რათა ნარგავები დავიცვათ მსხვილფეხა ცხოველებისაგან.

უკუკავშირი:

სოფელ ტკოცაში, ტკოცის საჯარო სკოლის დირექტორის ლიანა ლომიძის ინიციატივით, ბუნების მკვლევართა კავშირ „ორქისისა“ და შვედეთის მთავრობის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და სგანმანათლებლო რესურსცენტრის მხარდაჭერით, გამწვანების აქცია მოეწყო, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანმა, საკრებულოს წევრებმა: ალექსანდრე ნოზაძემ და დავით მეტრეველმა, ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა ზვიად გოგუაძემ. აღსანიშნავია, რომ აქციაში, მოსწავლეებთან ერთად, უფროსი თაობის წარმომადგენლებიც იყვნენ ჩართულები, რომლებმაც აიღეს პასუხისმგებლობა, ნარგავების მოვლაზე იზრუნონ. ყოფილი ნაგავსაყრელის ტერიტორია გაიწმინდა, ქიმიურად დამუშავდა და დაირგო მარადმწვანე კვიპაროსისა და ტუიას ნერგები, ბზები, იასამნები, ვარდები. მოსახლეობის სურვილია, რომ ტერიტორია შემოიღობოს, მოეწყოს სკვერი და დაიდგას ატრაქციონები.

ამჟამად მიმდინარეობს გამწვანებული ფართობის შემოღობვის სამუშაოებისათვის მზადება.

მომზადდება საბავშვო გასართობის სივრცის საპროექტო დოკუმენტაცია.

პრობლემა:

საცხოვრებლად გამოუსადეგარი სახლების მქონე მოსახლეობის (ქალაქად და სოფლად) საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია მოქალაქის განცხადება კონკრეტული მისამართის მითითებით.

უკუკავშირი:

სამწუხაროდ მუნიციპალიტეტში თუნდაც მცირე ზომის კოტეჯის მშენებლობის პროგრამა არ გვაქვს. ერთადერთი რაც შეგვიძლია მას შევთავაზოთ, ესაა სოციალურ პროგრამაში უსახლკაროთა მუხლი, რომელიც 1 კალენდარული წლით საცხოვრებელი ფართის ქირავნობას გულისხმობს, მაქსიმალური ღირებულებით 180 ლარი.

პრობლემა:

მიუსაფარი ძაღლები ქალაქში, შემოსულია არაერთი განცხადება ძაღლებისაგან დაკბენის გაზრდილი რისკის თაობაზე.

უკუკავშირი

გორში ფუნქციონირებს ინტერმუნიციპალური „თავშესაფარი“, ემსახურება 4 მუნიციპალიტეტს, რომელიც გათვლილია გრძელვადიან შედეგზე. ამასობაში კი ქალაქი ჩამოყვანილი ლეკვებით ივსება. საჭიროა ახალი კონცეფციის შემუშავება, რომელიც თუნდაც ინტერმუნიციპალური „თავშესაფრის“ გაფართოების ბაზაზე შეასრულებს თავის ფუნქციას.

ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები

ის ფაქტი,რომ ხაშურის მუნიციპალიტეტი ისტორიულ გზასაყარზე მდებარეობს, გარკვეულ გავლენას ახდენს მის ტოპონიმიაზეც. ამიტომ მისი ტოპონიმიის შესწავლა ისტორიული, კულტურულ-საზოგადოებრივი და სამეურნეო ყოფაცხოვრების თვალსაზრისით, მეტად საინტერესოა.

წარმოდგენილი მასალა დაზღვეული არ იქნება გარკვეული ხარვეზებისაგან. ყველა შენიშვნა და რჩევა გათვალიწინებული იქნება შემდგომ მუშაობასა და მუნიციპალიტეტის ტოპონიმიკის წიგნად გამოცემის დროს.

ალის სათემო საკრებულო

სოფელი ა ლ ი

აგაშენაანთი – ადგ. უბანი. აქ სახლობენ ნოზაძეები.

ალალი ღელე – ადგ. ღელე, სახნავი, საძოვარი, ვენახი დასავლეთის მხარეს ნასოფლარ საკირღელესთან.

ალისციხე – ადგ. ციხე ჩრდილოეთის მხარეს. უწოდებენ მცხეთისჯვრის, უწლევის ციხესაც. „ალს ზეით არს, ლიხის მთის კალთას, ციხე ალისა"(ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოისა",

ალისწყალი – მდ. ალში. ცნობილია ალის ფრონეს სახელწოდებითაც. „ხოლო ფცის- წყლის დასავლეთით არს ალის – წყალი. გადმოსდის ლიხის მთას, მოდის სამხრით, ერთვის მტკუარს ჩრდილოეთიდამ"(ვახუშტი, გვ. 377). 1683 წლის 17 ივნისის ლევან ბატონიშვილის მიერ იესე რუსაშვილისათვის მიცემულ ხევისთავობის წყალობის წიგნში ნათქვამია: „ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ ალის წყალს ზეით ხევისთაობა ყოვლის კაცის უცილობლათ".

ალისჭალა – ადგ. ჭალას ქმნიდა ალის-წყალი. დაფიქსირებულია „ხელმწიფის კარის გარიგებაში". მასში ნათქვამია: „საწოლის მწიგნობრის წვევა დაუწერია და პატრონისაგან არ მასმია, მისმან კეთილმან! და ალის-ჭალას, ოდეს მათი შვილი მოვიდა, შეიყარნეს, კათალიკოზი თანა ჰყვა და ალს ეკლესიის კარს დგა"(ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 2 გვ.90). პროფ. ი. ანთელავას აზრით, აქ ლაპარაკია დავით ნარინისა (პატრონისა) და მისი უფროსი ვაჟის, აღმოსავლეთ საქართველოს მეფის ვახტანგის შეხვედრაზე ალისჭალაზე, რომელიც 1289-1292 წლებში უნდა მომხდარიყო. ალს მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა უჭირავს. ამიტომ შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ აქ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოების საზღვართან შეხვედროდნენ მამა-შვილი – დაასკვნის ი. ანთელავა (ი. ანთელავა, XI–XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები(გვ. 85). „ხელმწიფის კარს გარიგებაში" ალისჭალას მამა-შვილის ორ შეხვედრაზეა საუბარი.

ალისხეობა – ადგ; ხეობა. დასტურდება ქართულ საისტორიო წყაროებში. მერალიბეგ ციციშვილის არზაში (1747-1749 წწ.) ნათქვამია: „...ალის ხეობაზე ესახლა ჩვენი ყმა – ქართველი, სომეხი და ურია-ტყვე სულ ოცდათხუთმეტი" (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 7, გვ. 56). 1794 წლის 26 მარტის ნიკოლოზ ჩუტკერაშვილის არზაში აღნიშნულია: „ალის ხეობაზედ თქვენ (ერეკლე) და იმერელ მეფემ (სოლომონი) ერთმანეთი რომ ნახეთ..."

ვახუშტის მიხედვით, ალის ციხის ზემოთ ჭერათხევის ხევია,

. ალის ხეობა ალის ციხის ქვემოთ მდინარის მიმართულებით არის. დღეს ალის ხეობას ჭერათხევის ხეობას ეძახიან.

ანწლებიანი ახო - ადგ. ტყე ჩრდილოეთის მხარეს. „ანწლი და მოცვი ხარობს".

ასონას ლაშე –ადგ; ჩრდილოეთის მხარეს.

ახალკაცის ახო – ადგ; ახო, სათესი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.

ბაზრის წყარო – ადგ. წყარო სოფლის ცენტრში.

ბაირაღის მიწა – ადგ; 1895 წელს გაყრის განაჩენის მიხედვით მიხეილ, გოგია და სეხნია ნინიას ძე ნოზაძეებს „ბაირაღის მიწა დარჩათ საძმოთა"

ბახუნდარას ახო - ადგ; მინდორი ჩრდილო-დასავლეთით მხარეს. „კაცს ერქვა ბახუნდარა, ნოზაძე იყო".

ბენდელახო –ადგ; ახო.

ბესაანთი - ადგ; უბანი. აქ ცხოვრობენ ნოზაძეები.

ბიების წყარო – ადგ; წყარო ჩრდილოეთის მხარეს.

ბოკოკაანთ ახო - ადგ; ტყე დასავლეთ მხარეს. „ბოკოკა პატარა კაცი ყოფილა. მას გაუკეთებია ახო".

ბოკოკაანი//ბოკოკაანთ უბანი - ადგ; უბანი სოფლის სამხრეთ ნაწილში. „ძმათა შვილები ცხოვრობენ, წინაპარს ბოკოკა ერქვა".

ბრილის გზა - ადგ; გზა სამხრეთ-დასავლეთის მხარეს.

ბრილილაშე – ადგ; საძოვარი დასავლეთის მხარეს.

ბურნეულა – მდინარე, მოედინება ბრილის მხრიდან, სამხრეთით ერთვის ალის წყალს /ჭერათხეულას/ ნაბახტევთან. ალისა და ნაბახტევის 1703 წლის 9 აგვისტოს საზღვრის დადგენის საბუთში აღნიშნულია, რომ „ბურნეულის წყალი... ერთვის ალის წყალში"..

ბურნეულის ჭალები – ადგ. სათესი სამხრეთ-დასავლეთის მხარე.

გაბელაანთი - ადგ; უბანი

გამოღმა ალი – ადგ; უბანი. დაფიქსირებულია ქუცნა ამირეჯიბის ულუმბის ხვთისმშობლისადმი შეწირულობის წიგნში (XV ს. დასაწყისი). „როდეს ფალავანდიშვილის საქმეზედა მეფეთ-მეფემა ალექსანდრემა შეხუთა ალი, ორნი ძმანი პაპის ჩემისა დაიჭირეს და ტყავები დაჰხადეს და ბზით დატენეს ალინჯას. აიღეს ალი მისათ სანუქფოდ. კიდევ შეგვიწყალა ჩუენ და ჩუენგან აშენებული ალი ისევე გვიბოძა. შევსწირეთ მათ წამებულთათვის გამოღმა ალი, ბაჟის მესამედი, წაკუაძის სარგოს გარეთ, რაიც შეწირულ სიგელებში იწეროს, იმ გუარად დავსდევით ულუმბისა ღმრთისმშობელს ბეგარი..." (გ. ოთხმეზური, შიდა ქართლის მცირე სათავადოები (XV-XVII სს.), დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლათ, ხელნაწერი, 1999, გვ. 164-165). აგრეთვე, ალექსანდრე I მიერ ულუმბოს ხვთისმშობლისადმი (დადებულს დავთარში), რომლის მიხედვითაც „გამოღმა ალს ყიზილაბეგისშვილს ოცდაორი კოკა ღვინო და ორი ზურგიელი" ეთხოვებოდა მონასტისათვის.

გასაყიდლიანთ უბანი - ადგ; უბანი, სოფლის ცენტრში. აქ გარსევანოვები ცხოვრობენ.

გასაყიდლიანთ ვენახი – ადგ. ვენახი. ჩრდილოეთის მხარეს. ძველი ნამოსახლარია.

გეზაურები//გაზაურების მიწა - ადგ; სახნავი, სათესი აღმოსავლეთის მხარეს. მიხეილ, გოგია, სეხნია ნინისს ძე და ელისაბედ ნინიას ასულ ნოზაძეებს შორის 1895 წლის 20 მარტის გაყრის განაჩენით „გეზაურის მიწა ერგო მიხას საკუთრათა".

გიგლაანთი – ადგ; უბანი.

გლახაანთები – ადგ; უბანი სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.

გლახუკეენთი – უბანი სოფლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. აქ ცხოვრობენ გვარები: ამირეჯიბი, ბაბასოვი, ნოზაძე...

გოგაანთ უბანი –ადგ; უბანი სოფლის დასავლეთის მხარეს.

გოგილეენთი - ადგ; უბანი სოფლის დასავლეთ ნაწილში. აქ სახლობენ გვარები: გვარამაძე, გიგუაშვილი, ნოზაძე, ქურდაძე...

გოგილეენთ წყარო – ადგ; წყარო სოფლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.

გრძელი მიწა- ადგ. სახნავი, სათესი. 1895 წლის გაყრის განაჩენით მიხა ნოზაძეს გრძელი მიწიდგან ერგო მესამედი შუა ადგილი"...

დათიას ლაშე – ადგ. საძოვარი დასავლეთ მხარეს.

დათილას ახო –ადგ. ჩრდილოეთის მხარეს.

დათილიენთი//დათილიეენთ უბანი - ადგ; უბანი სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. აქ ცხოვრობენ ნოზაძეები.

დანგრეულები//საკაკები - ადგ., სათესი, საძოვარი სამხრეთ-დასავლეთ მხარეს. „მცოცავი ადგილებია".

დედაღვთისა – ადგ., სალოცავი ჩრდილოეთის მხარეს.

დიდახო - ადგ., ტყე, საძოვარი ჩრდილოეთის მხარეს. „ადრე სახნავი იყო".

დიდბეგები – ადგ; სამხრეთის მხარეს რიყეების გაყოლებით.

დიდმინდორი – ადგ., უბანი, სათესი სამხრეთის მხარეს.

დოლენჯის მიწა - ადგილი; 1784 წლის 5 ივლისს გარსევანიშვილმა თომამ მიჰყიდა სოლომონ მარტიროზაშვილს: „...ნასყიდობის წიგნი და სიგელი დავაწერინე და მოგეცი მე, მოქალაქე ისპან გარსევანასშვილმა თომამ, შვილმან ჩემმან იოანემ, ისპამ და გარსევან თქუენ, საქართველოს დედოფლის მდივან-მოლარეთ-უხუცესი შანშიან მარტიროზიან ყარანის ძეს სოლომონს... მას ჟამს როდესაც დამეჭირა და ჩემის ნებითა მოგყიდე ალს ენაკოლოფაშვილი გრიქორასაგან მოსყიდული ორი დოლენჯის მიწა ოთხის დღისა თავის ტყითა, აქათ გზანდი, ქვ[ე]ით გივილაშვილის მიდგმამდინ. ტკოცის გზაზედ კიდევ სამის დღის მიწა, ზეით თავამდინ, იქით ბერისშვილის მიდგმამდინ, აქათ გზამდინ და ქვეით თქვენისავ ყმის ჯანიაშვილის მიდგმამდინ..."

დუების ახო -ადგ., მინდორი ჩრდილოეთის მხარეს. „კაცს ერქვა- დუება გიორგა".

დუმაცხოვის გზა – გზა აღმოსავლეთის მხარეს.

დუმაცხოვის ლაშე – ადგ., საძოვარი აღმოსავლეთის მხარეს.

ვაკეები – ადგ., მინდორი დასავლეთის მხარეს.

ვაკელაური- ადგ., მთა.

ვასილას ღელე – ღელე ჩრდილოეთის მხარეს.

ვაყელაური – ადგ., სახნავი სამხრეთ მხარეს. „აქ ცხოვრობდნენ, შემდეგ გადასახლდნენ აქედან ვაყაში".

ველები – ადგ., სათესი, ვენახი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.

ვერხვნალი – ადგ., ტყე.

ზაქარას მიწები – ადგ., სათესი.

ზურაბა ღელე –ადგ; ღელე აღმოსავლეთის მხარეს.

თათილაური – ადგ., სათესი. ნოზაძეების 1952 წლის 16 ივლისის გაყრის განაჩენით „შოთას ერგო... 0,15 ჰექტარი საკარმიდამო ნაკვეთი საბაღე-საბოსტნე, რომელიც მდებარეობს თათილაურის სათავის რუს პირას"

თათუანთ წყალი – ადგ; წყარო სოფლის ცენტრში.

თაყიაური – ადგ; 1613 წელს ლუარსაბ II-მ და მისმა დედამ დედოფალთ დედოფალმან თამარმა ავთანდილ მარტიროზაშვილს ალში უბოძა „თაყიური მამული", რომელსაც მანამდე ჯაბუტ არაქელაშვილი ფირალა ფლობდა. „...მეფეთ-მეფემან პატრონმან ლუარსაბ და დედამან ჩუენმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან თამარ... შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა ერდგულსა ყმასა მარტიროზიშვილსა ავთანდილს, ძმასა შენსა სორაზანს და ბეჟანს, შვილთა და მამავალთა ყოველთავე სახლისა თქუენისათა. მას ჟამსა ოდეს მოგვიდეგით კარსა და ალს მამულისა წყალობასა დაგუეჯენით. ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ ალს თაყიაური მამული, რაც ჯაბუტ არაქელაშვილს ფირალას ბატონის დედოფლისაგან ბოძებოდა ყოვლის მისის სამართლიანის სამზღრითა და საქმითა სამკუიდროდ და სამამულოდ თქუენთვის გვიბოძებია".

თეთრი ეკლესია –ადგ; სალოცავი იგივეა, რაც დედაღვთისა.

თელების მიწა – ადგ., სახნავი. 1895 წელს ნოზაძეების გაყრის განაჩენით სახნავი მიწებიდან „მიხოს... თელეების მიწიდგან ერგო მესამედი შუა ადგილი".

ივანიკეენთ ახო – ადგ., ტყე, ახო ჩრდილოეთის მხარეს.

ივანიკეენთი – უბანი სოფლის ჩრდილოეთ ნაწილში. აქ სახლობენ ნოზაძეები. კაპრები – ადგ; ჩრდილოეთის მხარეს.

კაჟების ღელე – ადგ., ღელე ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. „კაჟიანი ადგილებია".

კახურაული – ადგ., ტყე ჩრდილოეთის მხარეს.

კვერისა – ადგ., სალოცავი.

კვირაცხოველი – ადგ., სალოცავი სოფლის ცენტრში.

კიკოლაანთ ახო//კიკოლახო –ადგ; ტყე ჩრდილოეთის მხარეს. „კიკოლა კაცის სახელია".

კიტოს//გოგიანთ//გლახაანთ ტბა – ადგ; დასავლეთის მხარეს.

კოკიყურა//კოკისყურა- ადგ; ტყე გზა ჩრდილოეთ მხარეს. „აღმართს ქვია. გზა ჩადის უწლევის წყალთან. გზა კოკის ყურივით მოღუნულია და ალბათ ამიტომ ეძახიან".

კუდატყე –ადგ., ტყე დასავლეთ მხარეს.

კუდატყის მიწა – ადგ., სათესი დასავლეთის მხარეს. ნოზაძეების გაყრის 1895 წლის განაჩენით „კუდატყის მიწიდგან მიხოს ერგო მესამედი დასავლეთის მხარესა".

კუდატყის ძეძვების მიწა – ადგ., სათესი, სახნავი დასავლეთის მხარეს. მიხეილ, გოგია, სეხნია ნინიას ძე და ელისაბედ ნინიას ასულ ნოზაძეებს შორის 1895 წლის 20 მარტის გაყრის განაჩენით „სახნავი მიწიდგან მიხოს ერგო კუდა ტყის ძეძვების მიწიდგან მესამედი, შუა ადგილი".

ლადოს ახო – ადგ., ახო.

ლაზარეს ახო//ღებრი ახო –ადგ.,ჩრდილოეთის მხარეს,ფიჭვნარი. „მღებრიშვილები ფლობდნენ, შემდეგ ლაზარე ნოზაძე ფლობდა".

ლაზარეს მუხა – ადგ., სახნავი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. „ლაზარე ნოზაძე იყო".

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ხაშურის სამუსიკო სკოლის დარბაზში ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, ხაშურის საპატიო მოქალაქის, მწერალ მურად მთვარელიძის 70 წლის საიუბილეო საღამო გაიმართა

„მურად მთვარელიძის სამი დრო“ - ასე ერქვა ღონისძიებას, რომელსაც თათია მთვარელიძე უძღვებოდა. საიუბილეო საღამოზე სიტყვით გამოვიდნენ მურად მთვარელიძის მოწაფეები და სტუდენტები, მისი კოლეგები, თანამოაზრეები და მეგობრები - თამაზ ლაცაბიძე, მაყვალა ხაჩიძე, ლელა ცუცქირიძე, ცირა ბარბაქაძე, გიორგი სოსიაშვილი, სერგო ვარდოსანიძე, მანანა აბაზაძე, ეკა ბაქრაძე, ტარიელ კიპაროიძე, ნუნუ მიცკევიჩი, რომლებმაც ისაუბრეს იუბილარის მრავალმხრივი მოღვაწეობის - შემოქმედებითი, პედაგოგიური თუ სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. თეატრალური სტუდია „აკვარიუმის“ მოსწავლეებმა წაიკითხეს მურად მთვარელიძის პოეზიის ნიმუშები, პოეტის ლექსებზე დაწერილი კომპოზიციები შეასრულა ლიანა ტატიშვილმა, საღამო მცირე საცეკვაო პერფორმანსით გააფორმა ელენე რატიანმა.

დასასრულს, მურად მთვარელიძემ მადლობა გადაუხადა აუდიტორიას მისი შრომის დაფასებისთვის.

საიუბილეო საღამო მურად მთვარელიძის ლექსით სიმბოლურად დახურა ნანუკა მთვარელიძემ. ღონისძიება ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ხელშეწყობით გაიმართა.

სისხლის უანგარო დონაციის აქცია - „გაუზიარე სიცოცხლე, გაიღე სისხლი“

მიმდინარე წლის 8 ნოემბერს, ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, გაიმართება სისხლის უანგარო დონაციის აქცია „გაუზიარე სიცოცხლე, გაიღე სისხლი.“

აქციის ორგანიზატორია შპს „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგური.“ აღნიშნულ სისხლის ბანკს ლიდერი პოზიცია უჭირავს და ამარაგებს როგორც ბავშვთა, ისე, მრავალპროფილურ კლინიკებს.

სისხლისა და სისხლის კომპონენტების გადასხმა ყოველწლიურად მილიონობით ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის შესაძლებლობას იძლევა. სისხლის კომპონენტები საჭიროა ლეიკემიის, ანემიის დიაგნოზის მქონე პაციენტებისთვის, ავტოკატასტროფაში მოხვედრილი დაზარალებულებისთვის და სხვა

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში ცოცხნარასა და ქემფერში გზის რეაბილიტაციის პროცესი დასასრულს უახლოვდება

პროექტის ფარგლებში, სოფელ ცოცხნარასა და ნარვანი-ქემფერის მიმართულებით დაიგო ასფალტის საფარი, ეწყობა მილ-ხიდები და სანიაღვრეები, გათვალისწინებულია საგზაო ნიშნების დადგმა-დახაზვა.

ცოცხნარა-ქემფრის პროექტს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი ერთობლივად აფინანსებს. სამუშაოების ღირებულება 4 599 999 ლარია.

აღსანიშნავია, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა ინტენსიურად მიმდინარეობს, რაც მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობებს მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს.

- თავისუფალი ჭიდაობა -

გუჯა ლომიძის წარმატება

3-5 ნოემბერს, ქ.ბათუმში, ჩატარდა კ.კაკალაძის სახელობის ღია რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალი სტილით ჭიდაობაში, ამ ტურნირზე თავი მოიყარა 250 სპორტსმენმა, ტურნირზე სომხეთის ხუთი გუნდიც იღებდა მონაწილეობას.

ტურნირში ბრწყინვალედ გამოვიდა ჩვენი სასპორტო სკოლის წარმომადგენელი გუჯა ლომიძე (80 კგ), რომელმაც ყველა მეტოქე დაჯაბნა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დაიკავა ადგილი.

ვულოცავთ ჩემპიონს და მის მწვრთნელს გიორგი კვინიკაძეს ამ წარმატებას და გვჯერა, გუჯა მომავალშიც არაერთხელ ასახელებს ჩვენს მუნიციპალიტეტს.

აღსანიშნავია, რომ იგი, U15 წლამდელთა შორის, საქართველოს ნაკრების წევრია და უახლოეს პერიოდში უკვე საერთაშორისო ტურნირებში მოუწევს საქართველოს სახელით ასპარეზობა.

წარმატებები ლუკას!

ცისარტყელები ხაშურში

გასულ კვირას საოცარი სურათის მოწმენი გახდნენ ჩვენი ქალაქის მკვიდრნი. შუადღისას, ქალაქის თავზე ორი ულამაზესი ცისარტყელა „დაეკიდა“ და თავისი ულამაზესი შვიდფერი სხივები მიმოაბნია გარშემო. ძველები ამბობენ, ცისარტყელას სურვილების ასრულება ძალუძს და ბედნიერებაც მოაქვსო. ისეთი ლამაზები იყვნენ ეს ცისარტყელები, შეგებრალება კაცს, იმ ძველების ნათქვამი ცრურწმენად აღიქვა. ამიტომაც ვუჯერებთ მათ და გვწამს, რომ ეს ყველაფერი რაღაც კარგის მაუწყებელი იყო ჩვენი ქალაქისათვის და ყველა ხაშურელისათვის.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.